



წერილის ნომერი: 05-682301323  
თარიღი: 13/01/2023

ადრესატი:

კობა ლურსმანაშვილი  
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

1. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29/12 N 2475 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 643 963 ლარი. აქედან 3 619 544 ლარი გზების რეაბილიტაციის ხარჯებისათვის და 24 419 ლარი სოფელ უბისაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოსაწყობად, რომლის დაუყოვნებლივი ასახვის გამო 2023 წლის 09 დეკემბერს N 68-682 300 929 მომართვით საკრებულოს ეცნობა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული N 68. 682 300 97 ბრძანების თაობაზე.

2. საქართველოს მთავრობის 2022 წლის N 2476 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში გამოეყო 890 000 ლარი.

3. წინა წლებში აღებული ვალდებულებების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთებიდან, საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე გასანაწილებლად მიიმართოს 538 059.82 ლარი, მათ შორის:

**გზების რეაბილიტაციაზე - 227 600. 72 ლარი აქედან:**

საქ. მთავრობის 2018 წლის 18.01. N 136 განკარგულებით - 100 000 ლარი;

საქ. მთავრობის 2017 წლის 27.12. N 2712 განკარგულებით - 21 500 ლარი;

საქ. მთავრობის 2017 წლის 27.12. N 1679 განკარგულებით - 11 745.25 ლარი;

საქ. მთავრობის 2022 წლის 17.01. N 75 განკარგულებით - 89 594.63 ლარი.

საქ. მთავრობის 2021 წლის 11.03. N 330 განკარგულებით - 4 760.84 ლარი (საყრდენი კედლის მოსაწყობად)

**ხიდების რეაბილიტაციაზე - 27 548.91 ლარი, აქედან:**

საქ. მთავრობის 2017 წლის 27.12. N 2712 განკარგულებით - 9 718.91 ლარი;

საქ. მთავრობის 2022 წლის 26.01. N 131 განკარგულებით - 17 830 ლარი;

**კეთილმოწყობის ობიექტების (სკვერები, პარკები) რეაბილიტაციაზე - 210 221.64 ლარი, აქედან**

საქ. მთავრობის 2018 წლის 18.01. N 136 განკარგულებით - 3 275.93 ლარი;

საქ. მთავრობის 2021 წლის 16.08. N 1419 განკარგულებით - 206 945.71 ლარი;

**სოფლის მხარდამჭერი პროგრამით - 11 005.55 ლარი (საქ. მთავრობის 2022 წლის 15.02. N 277**

განკარგულებით)

**სპორტული მოედნების რეაბილიტაციაზე - 61 683 ლარი** (საქ. მთავრობის 2022 წლის 17.01. N 75 განკარგულებით - 61 683 ლარი).

**ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 12 733 000 ლარი იზრდება 4 533 963 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე და განისაზღვრება 17 266 963 ლარით.**

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 14 180 000 ლარი იზრდება 5 072 023 ლარით და განისაზღვრება 18 252 023 ლარით.**

გადასახდელების ზრდის წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 4 533 963 ლარი და 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული საელმწიფო საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 538 060 ლარი,

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი